

მე-5 კლასი

ძირითადი დავალებები (100 ქულა)

რაოდენობრივი შედარება (20 ქულა)

1. დილის 6-დან საღამოს 5-მდე მეტი დროა, თუ საღამოს 5-დან დილის 6-მდე?
A) დილის 6-დან საღამოს 5-მდე B) საღამოს 5-დან დილის 6-მდე C) თანაბარია
2. გიორგის 6-ით მეტი მარკა აქვს, ვიდრე დავითს. თუ გიორგი დავითს მისცემს 4 მარკას, ახლა ვის ექნება მეტი?
A) ისევ გიორგის B) დავითს C) თანაბრად ექნებათ

არითმეტიკა (20 ქულა)

3. მწკრივში 12 ბიჭი დგას და ყოველ ორ მომდევნო ბიჭს შორის ზუსტად 2 გოგონაა. რამდენი ბავშვია სულ ამ მწკრივში, თუ მასში პირველიც და ბოლოც ბიჭია? (5 ქულა)
A) 32 B) 34 C) 36
4. ავტომობილი 100 კმ-ის გავლისას წვავს 10 ლიტრ საწვავს. რამდენ კილომეტრს გაივლის ის 20ლ საწვავით? (5 ქულა)
A) 50კმ B) 120კმ C) 200კმ
5. ფუნთუშა 40 თეთრი ღირს. 2 ხაჭაპურის ფასად მხოლოდ 7 ფუნთუშის ყიდვა შეგვიძლია. რა შეიძლება ღირდეს ხაჭაპური? (10 ქულა)
A) 1ლ 30თ B) 1ლ 50თ C) 2ლ 20თ

ლოგიკა (30 ქულა)

6. პარიზი თბილისს ჩამორჩება 3 საათით. ანუ, როცა თბილისში 6 საათია, მაშინ პარიზში 3 საათია. თვითმფრინავი თბილისიდან პარიზამდე ფრენას 4სთ უნდება. თბილისიდან რომელ საათზე უნდა გაფრინდეს თვითმფრინავი თბილისის დროით, რომ პარიზში პარიზის დროით 17 სთ-ზე ჩაფრინდეს?
A) 13 სთ-ზე B) 15სთ-ზე C) 16 სთ-ზე
7. 2 სპილო უფრო მეტს იწონის, ვიდრე 2 ბეჭემოტი და ერთი მარტორქა ერთად. 2 ბეჭემოტი უფრო მეტს იწონის, ვიდრე სპილო და მარტორქა ერთად. დაალაგეთ ცხოველები წონის კლების მიხედვით:
A) სპილო, ბეჭემოტი, მარტორქა
B) სპილო, მარტორქა, ბეჭემოტი
C) მარტორქა, სპილო, ბეჭემოტი
8. მელას ერთი ფიალა თაფლის შეჭმა 10 წუთში შეუძლია, კურდღელს - 12 წუთში, დათვს კი 8 წუთში. მათ ერთი ფიალიდან მეგობრულად ჭამა სხვადასხვა დროს დაიწყეს და ერთად გაათავეს თაფლი. ვინ დაიწყო ყველზე ადრე ჭამა, თუ თაფლი სამივეს თანაბრად შეხვდათ?
A) მელამ B) კურდღელმა C) დათვმა

უდიდესი და უმცირესი (30 ქულა)

9. რაც კესომ ბაღში ყვავილები დარგო, მას შემდეგ, ის მათ მხოლოდ სამშაბათობით რწყავს, დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. ამჟამად მას უკვე 3-ჯერ აქვს მორწყული ყვავილები. სულ მცირე, მერამდენე დღეა, რაც მან ყვავილები დარგო?
A) 15 B) 18 C) 21
10. რამდენით მეტია განსხვავებული კენტი ციფრებით ჩაწერილი უდიდესი სამნიშნა რიცხვი განსხვავებული ლუწი ციფრებით ჩაწერილ უმცირეს სამნიშნა რიცხვზე?
A) 336-ით B) 568-ით C) 771-ით

